საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 456 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო ზედამხედველობისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის N340 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო ზედამხედველობისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანდართული დებულება.

2. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 5 დეკემბრიდან.

მამუკა ბახტაძე

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2018 წლის 7 დეკემბრის
N456 ბრძანებით

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო ზედამხედველობისა და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სამთავრობო ზედამხედველობისა და მონიტორინგის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, სხვა კანონებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, საქართველოს სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებით, ამ დებულებით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შინაგანაწესითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

2. დეპარტამენტის ფუნქციები, სტრუქტურა და უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის რეგლამენტით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულებითა და ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით ამტკიცებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. დაკისრებულ ფუნქციათა განსახორციელებლად დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტსა და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან.

მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანები

დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანებია:

ა) საქართველოს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისათვის სამინისტროებისა და მათ სისტემაში შემავალი დაწესებულებების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა;

ბ) საქართველოს მთავრობის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოების გადაწყვეტილებათა ან/და საოქმო დავალებათა შესრულების კონტროლი;

გ) აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მოქალაქეებისათვის გასაწევი მომსახურების კონტროლი, მათ შორის, ფსევდომომხმარებლის მეშვეობით;

დ) სამთავრობო პროგრამის, ყოველწლიურ სამოქმედო გეგმათა შესრულებისა და რეფორმების თაობაზე მიღებულ რეკომენდაციათა/ გადაწყვეტილებათა უშუალო აღსრულების პროცესის მონიტორინგი;

ე) მოქალაქეთა, იურიდიულ პირთა და პირთა გაერთიანებების მომართვიანობის შემთხვევაში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათთვის საქართველოს კანონმდებლობით გაწერილი უფლებამოსილების განხორციელების მონიტორინგი;

ვ) სამინისტროებიდან, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებიდან, მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური

დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულებიდან, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან და საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვა უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ამოცანების შესრულების მიზნით;

ზ) განხორციელებული კოორდინაციის, ინფორმაციის დამუშავების, ანალიზის, ზედამხედველობის შედეგების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების შემუშავება შემდგომში საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის მიზნით;

თ) საქართველოს მთავრობის/საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის ხელშეწყობა და კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, საქართველოს მთავრობის რეგლამენტის, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებათა, ამ დებულების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შინაგანაწესის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ცალკეულ დავალებათა შესრულება.

მუხლი 3. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი

წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.

2. დეპარტამენტის უფროსის არ ყოფნის პერიოდში, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტს ხელმძღვანელობს მისი ერთ-ერთი თანამშრომელი (დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

3. დეპარტამენტის უფროსი:

ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის დავალებებისა და ამ დებულების შესაბამისად, უზრუნველყოფს დეპარტამენტის საქმიანობას, პასუხისმგებელია საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვანი შესრულებისათვის;

ბ) ანაწილებს სამსახურებრივ დოკუმენტაციას დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის კოორდინაციას;

გ) დადგენილი წესით განსაზღვრავს დეპარტამენტის თანამშრომელთა ფუნქციურ მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს;

დ) ხელმძღვანელობს დეპარტამენტის მიმდინარე საქმიანობას;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დეპარტამენტის თანამშრომელთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ვ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად წარუდგენს საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ დეპარტამენტის თანამშრომელთა კანდიდატურებს;

ზ) ამზადებს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

თ) ხელმოწერით ადასტურებს დეპარტამენტიდან გასულ დოკუმენტებსა და სხვა მასალებს;

ი) წარმოადგენს დეპარტამენტს სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისას;

კ) შეიმუშავებს დეპარტამენტის დებულებისა და საშტატო ნუსხის პროექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის წარსადგენად;

ლ) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფს საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის სხვა დავალებების შესრულებას.

მუხლი 4. დეპარტამენტის სტრუქტურა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა

დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

1. **სამთავრობო ზედამხედველობის სამმართველო**, რომელიც:

ა) კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებისათვის სამინისტროებისა და მათ სისტემაში შემავალი დაწესებულებების კოორდინირებული მუშაობის ხელის შეწყობისათვის საჭირო ღონისძიებებს;

ბ) ახორციელებს საქართველოს მთავრობის/საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის ხელშეწყობას და კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) უზრუნველყოფს განხორციელებული კოორდინაციის, ინფორმაციის დამუშავების, ანალიზის, ზედამხედველობის შედეგების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისთვის შესაბამისი

ინფორმაციის მიწოდებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელებას შემდგომში საქართველოს მთავრობისთვის წარდგენის მიზნით;

დ) ახორციელებს სამინისტროებიდან, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებიდან, მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულებიდან, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდან და საჯარო სამართლის იურიდიული პირებიდან შესაბამისი ინფორმაციის გამოთხოვას უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ამოცანების შესრულების მიზნით;

ე) ახორციელებს სამთავრობო პროგრამის, ყოველწლიურ სამოქმედო გეგმათა შესრულებისა და რეფორმების თაობაზე მიღებულ რეკომენდაციათა/ გადაწყვეტილებათა უშუალო აღსრულების პროცესის ზედამხედველობას;

ვ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ცალკეულ დავალებებს.

2. **სამთავრობო დავალებათა მონიტორინგის სამმართველო,** რომელიც:

ა) ახორციელებს საქართველოს მთავრობის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოების გადაწყვეტილებათა ან/და საოქმო დავალებათა შესრულების კონტროლს;

ბ) ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ მოქალაქეებისათვის გასაწევი მომსახურების კონტროლს, მათ შორის, ფსევდომომხმარებლის მეშვეობით;

გ) ახორციელებს მოქალაქეთა, იურიდიულ პირთა და პირთა გაერთიანებების მომართვიანობის შემთხვევაში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათთვის

საქართველოს კანონმდებლობით გაწერილი უფლებამოსილების განხორციელების მონიტორინგს;

დ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ცალკეულ დავალებებს.

3. **შიდა აუდიტის სამმართველო,** რომელიც:

ა) ახორციელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების, საქართველოს მთავრობის რეგლამენტის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულების, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებათა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შინაგანაწესის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ბრძანებების შესრულებაზე კონტროლს;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამსახურებრივი მოვალეობებისა და მოთხოვნების შესრულებისა და დისციპლინის დაცვის კონტროლს, დარღვევის ფაქტების გამოვლენას და შესაბამისი რეაგირების განხორციელებას;

გ) უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციაში ინტერესთა შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენასა და შესაბამისი რეაგირების განხორციელებას;

დ) ახორციელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში შემოსული და შიდა აუდიტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული კორესპონდენციებისა და საჩივრების განხილვას და შესაბამისი პასუხების მომზადებას;

ე) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის ცალკეულ დავალებებს.

4. სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, რომელსაც დეპარტამენტის უფროსის წარდგინებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.

5. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის არ ყოფნის პერიოდში, დეპარტამენტის უფროსის წარდგინებითა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს მისი ერთ-ერთი თანამშრომელი (სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).

6. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი:

ა) ორგანიზებას უწევს სტრუქტურულ ქვედანაყოფში შემავალი საჯარო მოსამსახურეების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს სამსახურებრივ დოკუმენტაციას საჯარო მოსამსახურეთა შორის;

გ) უშუალოდ ამზადებს განსაკუთრებული სირთულის მქონე ცალკეულ დავალებას;

დ) წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს ინფორმაციას სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლების მიერ მიმდინარე და გაწეული საქმიანობის შესახებ;

ე) ახორციელებს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს, უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და დეპარტამენტის უფროსის სხვა დავალებების შესრულებას.

მუხლი 5. დეპარტამენტის თანამშრომლები

დეპარტამენტის თანამშრომლები არიან საჯარო მოსამსახურეები, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამ უფლებამოსილების საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისათვის დელეგირების შემთხვევისა.